# საქართველოს მთავრობის

# განკარგულება

N1511 2013 წლის 30 ოქტომბერი ქ. თბილისი

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ**

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულმა სააგენტომ, სააგენტოსა და საქართველოში ევროპის კომისიის წარმომადგენლობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების (№ENPI/2012/301-051) „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა" მიზნების შესრულებისათვის, ამავე ხელშეკრულების ფარგლებში შესაბამისი საქონლის, მომსახურებისა და სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შემდეგი სახსრებიდან:

ა)სსიპ – საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოში ევროპის კომისიის წარმომადგენლობას შორის გაფორმებული ხელშეკრულების (№ENPI/2012/301-051) „საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერა" საფუძველზე მიღებული გრანტიდან;

ბ)2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში სააგენტოსათვის „არაფინანსური აქტივების ზრდის" მუხლით გამოყოფილი თანხიდან.

პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი